№ 160 9 მარიამობისთვე, ოთხშაბათი 1866—1878 9 მარიამობისთვე, ოთხშაბათი № 160

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლში. № 8.

ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირ ღოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., 6 ხევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დღეებით ასოზე—1 კ.ᲞᲐ., ასო-თავრულნით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲙᲔᲚᲔᲢᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘ:	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲞ.
პირველი გამოცემის —	97	50
მეორესი — — — —	96	37
მესამესი — — — —	96	12
მეოთხესი — — — —	95	87
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ — —	95	60
ᲝᲥᲠᲝ, ½ იმპერიალი—	7	86
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— —	„—	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲞ.
პირველი სესხის — —	236—	„
მეორე სესხის — — —	236—	„

1 მანეთი ღირს:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ— —	25—	„	პენსი
ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ— —	127—87		ᲪᲔᲜᲢᲘ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ— — —	215—50		ᲰᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲞᲐᲠᲘᲯᲘ — — —	264—50		ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ჩვენ მივიღეთ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ ამბავი, რომ, უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, ამ გუბერნიის მილიციები უკვე დაუთხოვნიათ, რადგან ხელ-ახლად ომის ატეხის შიში აღარ არისო.

როგორც მოგეხსენებათ, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გუბერნიაში სულ ორი პოლკი უნდა მოეგროვებინათ, ერთი ქეეეიი (გლეხებისა) და ერთიც ცხენოსანი (თავადაზნაურობისა). Გლეხებისაგან, როგორც გვატყობინებენ სულ გამოუყვანიათ, რამდენიც რიგი იყო. Თავად-აზნაურებიდგან კი სულ სამასამდინ ყოფილან თავის ნებით გამოსულნი.

ᲧᲕᲔᲚᲐ ეს ახალ გამოყვანილი ჯარები, როგორც ზევით მოგახსენეთ დათხოვნილია, და მაშა სადამე მოისპობა ამასთანავე მილიციონერების მშობლებისა და ნათესავების ტირილ-ვაება და მწუხარება; მოისპობა აგრეთვე ის უკმაყოფილება თავადებსა და აზნაურებს შუა შემოსავლიან თანამდებობათა შოვნაზე, რომელზედაც ამას წინათ რამოდენიმე სიტყვა იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი.

რაიცა შეეხება თფილისის გუბერნიის მილიციონბრების დათხოვნას, ამაზედ ჯერ ჩვენ არავითარი ნამდვილი ამბავი არა შეგვიტყვია-რა თუმცა უეჭველია, რომ ესენიც მალე უნდა იქმნენ დათხოვნილნი, რადგანაც მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ მთავრობა ამათში აღარ საჭიროებს.

*** ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛᲕᲔ გვწერენ, რომ როდესაც დრუჟინის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა თ. Ალ. Მიქელაძემ თავის მილიციონერებს იმათი დათხოვნა გამოუცხადა სოფ. ᲭᲣᲚᲐᲨᲘ, ამ დროს რაღაცას თაობაზე Იმერეთის და სამეგრელოს მილიციონერებს შუა ჩხუბი მოხდაო და ამ ჩხუბში შვიდი კაცი არის ხანჯლით და ხმლით მძიმედ დაჭრილიო.

*** Დიდუბეში, Თფილისის რკინის გზის სტანციასა და Მუშტაიდს შუა, მომავალი დოღისათვის ადგილს აკეთებენ. Საზოგადოებისათვის ღიდი ადგილი იქნება, როგორც ამბობენ, შემოკავებული, გაიმართება აგრეთვე ორ-რიგი ქვითკირის ლოჟები და სხვა დასასხდომი ადგილები. Თვითონ დოღის ე. ი. გასაჭენებელი ადგილის სიერცე იქნება იმგრ გელიე ორი ვერსი. Რამდენიმე ძვირფასი ჯილდოა (პრიზი) დანიშული იმ ცხენებისთვის, რომელნიც სხვებზე უფრო მსწრაფლად გაიელიან ამ მანძილს.

Ამბობენ, რომ ეს დოღი წელს ღვინობისთვეში გაიმართებაო.

Რადგან დოღს ძალიან კარგი გავლენა აქვს ცხენების ჯინსის გაუმჯობესებაზედ, ამის გამო სასურველია, რომ ამ გვარი დოღი მუდამ წელს გაიმართებოდეს და არა თუ მარტო Თფილისში, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘაც და სხვა ჩვენი ქვეყნის ქალაქებშიაც.

*** შეუნიშნავად და თითქო ჩუმათო Ბუნების მაედანზე ააშენეს ერთი პატარა შენობა—ტირი, რომელშიაც მსურველს შეუძლიან თოფის სროლა ისწავლოს. Სამზღვარ გარეთ ამ გვარი თოფის სროლის სასწავლებელი ტირები თითქმის ყველა სოფლებშიაც კი მოიპოვება, არათუ ქალაქებში.

ჩვენ, რომელნიც ერთ დროს მეომარ ხალხად ვითვლებოდით და რომელთაც თოფის სროლა, უეჭველია, კარგათ გვეცოდინებოდა, ახლა ეს ხელობა სრულად დაგვავიწყდა, თუმცა იქნება სხვა ხალხებზე უფრო გვეჭირება თოფის კარგათ მოხმარება და სროლა.

Ამის გამო ჩვენ სასარგებლოდ მაგვაჩნია ამ ტირის გახსნა Თფილისში. Საუბედუროთ გამმართველი, როგორც ეტყობა, ღარიბი კაცი უნდა იყოს, რადგან ხეირიანი თოფები და რევოლვერები არა აქვს, არც საზოგადოთ თვითონ ტირია რიგიანათ მოწყობილი; ამას გარდა თითო მიზანში ამოღება, თითო სროლა შაურად ღირს და ეს ძვირია. Ადგილიც ვერ არის კარგათ ამორჩეული. Ალექსანდროვის ბაღში რომ სადმე გაემართა ტირი, უეჭველია, უფრო მომეტებულ სარგებლობასაც ნახამდა თვითონაც და ხალხიც უფრო ბლომათ დაიწყებდა სიარულს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ წელს Თფილისის Სასულიერო Სემინარიაში შესასვლელად ძალიან ცოტა ყმაწვილები მოდიან თურმე ჩვენი ქვეყნის სხვა-სხვა

ადგილებიდამ. მიზეზს იმას ამბობენ, რომ სემინარიის უფ. ინსპექტორი ქუვშინსკი, როგორც მოგეხსენებათ, ქართველ ყმაწვილების მწყალობელი არ არის და ამის გამო იმათ ძალიან დიდის გაჭირებით იღებს ამ სემინარიაში; მაგრამ კიდევაც რომ მიიღონ, თუ შეატყო, რომ ყმაწვილი ცოცხალი და ნიჭიერია, უეჭველია, ერთს რასმე სულ უბრალო მიზეზს მოსდებს და სემინარიიდამ გამოაგდებს.

*** ჩვენ გვწერენ, რომ ვიღაც ბოროტ სულებს სურამის ქედზე, რკინის გზის რელსებზე რამდენსამე ალაგას დაედვათ ხეები, უეჭველია, იმ განზრახვით, რომ რკინის გზის მატარებელი გაეჩერებინათ და გაეცარცვათ. მაგრამ მაშინისტს დროზე შეეტყო ეს ამბავი და იმ ადგილს, საცა ხეები ეწყო, გაეჩერებინა მატარებელი და ამნაირად ხალხი გადაერჩინა.

იმ ღამესვე ვიღაცაებს ამ ადგილის მახლობლად გაეცარცვათ რკინის გზის ყარაული.

„დროების“ კორრესპონდენცია

აბას-თუმანი, 3 აგვისტოს. აბას-თუმანი ყველაზე პირველად არის დაარსებული შესაქცევათ თავის სტუმრებისა. მეც დღეს აქ ამის სტუმარი ვარ. ამის სათვისაც ეს ადგილი თავის მშვენიერი-მასპინძლობით ძალიან მასიამოვნებს. რადგან მინდა, რომ ის კეთილი მასპინძელი გავაცნო მკითხველებს, ამისათვის ვალათ ვრაცხ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ იმაზედ.

აბას-თუმანის ბუნებით თბილი მადნის წყლები თვისის მკურნალის თვისებით გათქმული არიან მთელს კავკაზიაში. ამის გამო აქ ზაფხულში მრავალი ხალხი იყრის თავს. ზოგი მოდის იმისათვის, რომ თბილ წყლებში რამდენჯერმე ბანაობით განთავისუფლდეს თავის სნეულებიდგან, ზოგი კი—იმისათვის, რომ ისიამოვნოს მშვენიერი ჰავათი და ბუნებით, დროება გაატაროს.

მართლაც უნდა მოგახსენოთ, რომ აბას-თუმნის ჰავა მშვენიერი ჰავაა: აქ არც ცხელა, არც ცივა, უფრო გრილა. მართალია, ხანდისხან არის აქ ცოტაოდენი სიცხე, მაგრამ ამ დროს ჩვენი სტუმრები მიეშურებიან აბას-თუმნის ჰალაში, რომ აქ იმათ სიგრილით და მშვენიერი სურნელობით ისიამოვნონ. ესენი ამაში არ სტყუვდებიან, რადგანაც სიცხის დროს მზე პირ-და-პირ დასცქერის ამ ჰალის ფიჭვის ხეების ფისსა და ადნობს მას; ამის გამო ტრიალობს აქ მშვენიერი სუნი.

მშვენიერის ტყით შემკულს აბას-თუმანს შუაში ჩამოუდის ლურჯი ლილასავით ოცხის წყალი, რომლის კალმახიც ამშვენებს ჩვენი სტუმრების სუფრას.

ერთად-ერთი შესაქცევარი ადგილი ჩვენი ავათ და კარგათ-მყოფებისათვის არის როტონდა, რომლის ახლოც ყოველს საღამოს იკვრის მუზიკა. როტონდაში ყოველ დღესასწაულ დღეებში და კვირაობით თამაშობენ ქალები თავის ამორჩეულ კავალერებთან, საღამოს რვა საათიდგან თერთმეტამდისინ. ხანდის-ხან ხსენებულ როტონდაში პატარა ყმაწვილებს ასწავლიან თამაშს.

როტონდის გვერდით არის ბაღი, რომელშიაც საღამოობით ხალხი დასეირნობს და ატარებს დროს. მარჯვენა მხარეს მდინარე ოცხისა (მცირე მანძილზედ ერთი-ერთმანერთიდგან) არის ორი გორაკი, რომლებზედაც არის გაკეთებული სასაუბრო ადგილები (ბესედკები).

აბასთუმანში არის კლუბი, რომელშიაც 29 ივლისს იყო ცირკის წარმოდგენა. თუმცა ეს წარმოდგენა იყო ყოვლად უშნო, მაგრამ ჩვენი სტუმრებისათვის ესეც დიდი რამ იყო ამისთანა ადგილას....

თუმცა ამჟამად აქ სუყველაფერი ძალიან ძვირია და ღარიბ კაცს ცხოვრება გაუჭირდება, მაგრამ აბას-თუმანს იმდენი მიმზიდავი თვისება აქვს, რომ ერთხელვე აქ მოსულს კაცს, მთელს ზაფხულს არ მოაგონდება იმის მიტოვება...

აბას-თუმნის სტუმარი

სურამი, 5 მარიამობისთვე. შეიტყობდით, რასაკვირველია, რომ წარსულითვის 24-ს ღამით ვიღამაც ცეცხლი წაუკიდა სურამის მომრიგებლის სასამართლოს სახლსა და გადასწვა როგორც სახლები, ეგრეთვე სხვა-და-სხვა საწარმოებელი საქმეები, და აგრეთვე სახელმწიფო ფული.

თუმცა ამაზედ სასტიკად გამოძიება დაიწყეს, მაგრამ მაშინათვე ვერ მიაკვლიეს დამნაშავეს, რადგანაც ამ დაწვის დროს თვითონ მოსამართლე ქაფაფოვი მალაქში იყო და სასამართლო ერთი ავათმყოფი ბიჭის-ამარა ჰქონდა.

გამოძიების დროს ზოგი ვის აბრალებდა, ზოგი ვისა ამის დაწვასა.

ბოლოს ახლა გამოჩნდა, რომ დამწველი ყოფილა ამავე სასამართლოს სეკრეტარი აშტრახანის მცხოვრებელი მღვდლის შვილი პ ე ტ რ ე გ რ ი გ ო რ ი ს-ძ ე ბ ა ს ე ი ნ ო ვ ი, რომელიც დღეგამოსტეხა გამომძიებელმა უფ. დრაგნევიჩმა!

აღმოჩნდა, რომ წინათ ფული გაუტანია ამას და მერმე ცეცხლი მოუკიდებია. ფული იქვე, ბაღში, ჰქონია ჩაფლული; ხუთი თუმანი კი დაუხარჯამს და სხვა სრულიათ გამოართვეს 1,900 მანეთამდინ; ნივთები ჯერ არ გამოუჩენია, მაგრამ ამისი [illegible] შიში არის, რაკი ფული არ დაიკარგა.

დამნაშავე ჯერ ისევ აქ არის დაჭერილი.

უფ. ქაფაფოვი ერთით მხიარულათ არის, რადგან ფული იპოვა, ნივთებსაც იპოვის; მაგრამ მეორე მხრით არ ეჭაშნიკა, რომ ამ საქმის ჩამდენი მისივე სეკრეტარი აღმოჩნდა.

შესანიშნავია, რომ რამდენჯერ მოხდა ამ გვარი უბედურება სურამის სუდებში არ ვიცი—რისგან; გულგრილათ რომ ეკიდებიან მომრიგებელი მოსამართლეები იმიტომ, თუ უფალი მოსამართლე ამისთანა ცუდ დროში, როდესაც აშკარათ სახლებში ავაზაკები უხტებიან, შიგ სახლის პატრონებს ხოცვენ ფულის გულისათვის და ფულები მიაქვთ, დაკეტილ სახლში, მერმე სურამ გარეთ, ერთი ბიჭის ანაბარა ფულს ინახამს. რომ ფული შეენახა ხაზინაში, მაშინ ვერც ფულს მოიპარავდნენ და არც სახლები და საქმეები დაიწვოდა. ამავე ნაირათ უფ. ამის წინამოადგილე სუდია სალაცვი იქცეოდა, ხალხის წარდგენილი დოკუმენტები შკაფებში ეყარა, იმდენს ვერ არიგებდა, რამდენიც იკარგებოდა.

რაც დაიკარგა და რაც საქმეები დაიწვა, ეს ამათი ჭირის სანაცვლო იყოს; საკვლავიოდ ვისურვებთ იმისთანა მოსამართლეები გამოგვიგზავნონ, რომ ხალხის ცხოვრება, ჩვეულება და თავის მოვალეობა ესმოდეთ.

უფ. ბასეინოვი დღე-დღეზედ გამოთხოვებას აპირებს სურამიდამ და სუდია აქ დარჩება თუ არა, არ ვიცით; მაგრამ ესეც რომ თან გაადევნონ და სხვაგან გაგვაცალონ, ბევრს არას ვიწუხებთ.

სურამელი

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! მინდა ერთი საინტერესო ამბავი მოგახსენოთ თქვენს გაზეთში დასაბეჭდათ. ეს ამბავი თვითონ ჩემ თვალის წინ არ მომხდარა, მაგრამ მიამბო სანდო პირმა, რომელიც მარწმუნებს, რომ ნამდვილ იცის ეს საქმე. ყოველ შემთხვევაში საჭიროა გამოაშკარდეს საქმე და თუ ტყვილი გამოდგა, დაამტკიცა ამ ამბვის სიცრუე ვისიც რიგია, უკეთესი იქნება, რადგანაც მართლაც სასურველი არ არის ხდებოდეს ამისთანა ამბავი, როგორც ქვემომოყვანილი:

უფ. ბაბუნიას (რომლის სახელი არ მახსოვს) ვაჟი ყოფილა დანიშნული კანდიდატათ პანსიონერობაზე ქუთაი-

სის გიმნაზიაში. ამ ვაჟის დოკუმენტები უფ. ბაბუნიას ჰქონია, როგორც რიგია, ქუთაისის გიმნაზიის დირექციაში.

რადგანაც ჯერ არ მოსულია რიგი ყმაწვილს პანსიონში მიღებისა და ყმაწვილს ჯერ მაინც კიდევ მომზადება ნდომია, რადგანაც მოუმზადებლათ არც ერთ კლასში არ მიიღებენ გიმნაზიაში, მოუნდომებია უფ. ბაბუნიას დირექციიდამ დოკუმენტების პირის გამოტანა, რომ ეს პირი წარადგინოს მარტვილის სასწავლებელში, სადაც ყმაწვილის მიცემა განუზრახავს, რომ იქ ყმაწვილი მომზადებულიყოს იმ დროამდის, როცა რიგი შეხვდება პანსიონში შესვლისა.

მიუცია თხოვნა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორისთვის, დოკუმენტების პირი მომეცითო. დირექტორს დაუწერია, მიეცესო.

მისულა მთხოვნელი პისმოვოდიტელთან, უთქვამს; დოკუმენტების პირი უნდა მომცეთო. პისმოვოდიტელს უთქვამს უფ. ბაბუნიასათვის:

— რით გინდა პირის მიღება, რათ ჰსცდილობ ამ ნაირათ, ოც-და-ხუთი მანეთი მომეცი და თქვენს ვაჟს ახლავე მივაღებინებო.

უფ. ბაბუნიას პირველათ ეს საეჭვოთ სჩვენებია; მაგრამ, რადგანაც პისმოვოდიტელი არწმუნებდა მას პატიოსანი სიტყვით, დათანხმებულა, ზოგი ფული იქვე მიუცია და დანარჩენი მეორე დღეს უნდა მიეცა.

მისულა უფ. ბაბუნია მეორე დღეს გიმნაზიაში, შესულა კანცელარიაში. პისმოვოდიტელი იქ არ ყოფილა; დაჯდა თურმე და უცდიდა მას. ამ დროს შესულა იქ გიმნაზიის ინსპექტორი და უკითხავს, რა გნებავსო, რისათვის მოსულხარო. ის მოჰყოლია თავის საქმეს, თავის იმედს პისმოვოდიტელზე, რომელიც ჰპირდება შვილის საქმის მოწყობას. ინსპექტორს უთქვამს, რომ ეს ტყვილი იმედია, ეს არც პისმოვოდიტელს შეუძლიან ჰქნას, არც სხვას, რომ ყმაწვილების მიღება პანსიონში რიგზეა. აქ უფ. ბაბუნია გაჯავრებულა, რომ პისმოვოდიტელს ამნაირათ მოუნდომებია მისი მოტყვილება, მაგრამ ინსპექტორს დაუმშვიდებია.

ამ დროს პისმოვოდიტელიც მოსულა; უ. ბაბუნიას კითხვაზე აქაც უთქვამს, რომ სწორეთ აგისრულებ, რასაც შეგპირდიო. ინსპექტორის წინ უთქვამს ეს. ინსპექტორს შენიშნვა მიუცია, რომ ეს ტყვილია, რომ ის ვერაფერ საქმეს ვერ გაუკეთებს. მე მინდა უმაღლეს მთავრობასთან თხოვნა დავუწეროო შვილის პანსიონში მიღებისა და მისთვის გამოვართვი ფულიო, ეთქვა პისმოვოდიტელს. მაგრამ ინსპექტორს ეთქვა პისმოვოდიტლისათვის, რომ ამნაირი მოქმედება ურიგოა ე, არ უნდა შვრებოდეო; ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ ყმაწვილები რიგზე იყვნენ მიღებული და არა სხვანაირათაო, ეს უფრო სამართლიანობა იქნებაო.

უ. ბაბუნია მისდგა თურმე და დაუწყო პისმოვოდიტელს ფულის დაბრუნების თხოვნა გაჯავრებულათ. პისმოვოდიტელს ფული ხელათ აღარ დაურჩა. საქმე დააშოშმინეს მით, რომ პისმოვოდიტელი ფულის დაბრუნებას შეჰპირდა უ. ბაბუნიას, თამასუქი მიუციაო.

გიმნაზიის უფროსებს, ამბობენ, განუზრახავთ ამ პისმოვოდიტელის დათხოვნა, რადგანაც აღმოჩნდა ამისთანა ცუდი ქცევა მათ საბძანებელში. ამბობენ, პისმოვოდიტელს ლაპარაკი მოსვლია ამის შემდეგ ინსპექტორთან და მუშტისათვისაც მიუცია ნება.

საინტერესოა საცოდნელათ: პისმოვოდიტელი რომ დაჰპირდა უ. ბაბუნიას შვილის პანსიონში მიღებას, რა საფუძვლით შეჰპირდა? უთხრა თუ არა მაშინ, როცა ფული მიიღო, რომ ის ამ ფულებს მთავრობასთან გასაგზავნ თხოვნის დაწერაში ჰღებულობს? დათუ უთხრა ეს, კიდეც რომ თხოვნას გაეჭრა მალე, როგორ მოახერხებდა პისმოვოდიტელი, რომ ასე მალე მოუმზადებელი ყმაწვილი მიეღოთ გიზნაზიაში?

N.

ქუთაისი, 5 აგვისტოს.

ომის შემდეგ

რუსეთი

გაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშნვა ბათუმის დათმობის თაობაზედ:

„თუ მართლა ბათუმის მცხოვრებლები და ლაზები დაიარაღებული არიან და განზრახვა აქვთ, რომ ეს ქალაქი ნებაყოფლობით არ დაგვითმონ ჩვენ, ოსმალოებს არა აქვთ უფლება გულ-ხელდაკრებილი შესცქეროდნენ ამ გარემოებას; ოსმალოს ჯარი ვალდებულია ჩაგვაბაროს ჩვენ ბათუმი და თუ თვითონ ვერ მოუხერხებია ეს, მაშინ ის უნდა შეუერთდეს ჩვენს ჯარებს, ერთად უნდა დავამშვიდოთ აჯანყებული ხალხი და ამნაირად ჩავიბაროთ ბათუმი.

„თუ ესე არ ჩაიდინა ოსმალეთმა, მაშინ ჩვენც სრული უფლება გვექნება, რომ არზრუმი, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია, არ დაუბრუნოთ იმას“.

— ოდესსის გაზეთებში იწერებიან, რომ ჩვენს სამხედრო მთავრობას დაუქირავებია 50 ხომალდი ევროპის ბრძოლის ველიდამ ჯარების უკან მოსაყვანათ; ამ 50 ხომალდში 20 რუსისაა და 30 ინგლისის.

— „Indép. Belge“-ის სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება, რუსის ელჩმა ლობანოვ-როსტოვსკიმ გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობასაო, რომ, სანამ ოსმალეთი არ ასრულებს ყველა მუხლებს ბერლინის ტრაქტატისა (სხვათა შორის საბერძნეთის შესახებაც), მანამ რუსის ჯარები არ მოშორდებიან სტამბოლსაო.

ინგლისი

სამხედრო მინისტრმა ნორტკოტმა გამოაცხადა ინგლისის პარლამენტში, რომ ოსმალეთსა და ინგლისს [illegible] აქვთ ერთმანერთისთვის [illegible], რომლის ძალითაც ინგლისის სამხედრო ფლოტი მხოლოთ მაშინ მოშორდება სტამბოლს, როდესაც რუსები წაიყვანენ იქიდამ თავიანთ ჯარებსაო.

— ინგლისის სამხედრო საშინისტროს განკარგულებით ინდოეთის ჯარები, რომელიც ასეთის ამბით მოიყვანეს და რომელნიც ამ ჟამად ქიპროსის კუნძულზე არიან, ამ ორი-სამი კვირის შემდეგ ისევ უკან უნდა დაბრუნონ ინდოეთში, რადგან ოსმიანობის შიში აღარ არის.

— ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“ გვაცნობებს, რომ ქიპროსის მმართველს ლენ. უელსლეის ათი მილიონი მანეთი მიუტანია ამ ქვეყანაში რკინის გზების გასაყვანათ და აგრეთვე სხვა საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელად.

ოსმალეთი

ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ, ოსმალეთის მთავარ ვეზირის საფეტ-ფაშის წინადადებით, სოფლების კოსტანტინოპოლელ-პატრიარქი არდგენს ამჟამად იმ რეფორმების პროექტს, რომელნიც სომხეთში უნდა შემოიღოს ოსმალეთის მთავრობამ.

— ვენის გაზეთს „პრესსში“ ბოსნიიდამ იწერებიან, რომ რადგან ბოსნიის აჯანყებულების მოთავეს ჰაჯი ლოიის განზრახვა აქვსო, რომ დიდ ხანს გაუმაგრდეს ავსტრიის ჯარს სარაევოში, ამის გამო იმან განკარგულება მოახდინაო, რომ რაც ამ ქალაქში დედა-კაცები და ყმაწვილები არიან, ყველანი უნდა გავიდნენ ქალაქიდამაო და მხოლოთ შემომარი ხალხი უნდა დარჩესო.

— ბუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილმა ტელეგრამმა გვაცნობა, რომ ავსტრიას და ოსმალეთს პირობა შეუკრავთ ერთმანეთში ბოსნიისა და ერცეგოვინის თაობაზედ. ამის გამო, უეჭველია, რომ ჰაჯი ლოია დიდ ხანს ვერ გაუმაგრდება ავსტრიის ჯარს, რადგან ოსმალეთი აღარ მოუმართავს იმას ხელს და აღარ მოაშველებს არც ჯარსა და არც საომარ მასალებს.

— ზემოხსენებულს ჰაჯი ლოიაზე აი რას იწერება სარაევოელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთის „ტაიმსისა“:

„ჰაჯი ლოია—აჯანყებული ბოსნიელების მოთავე—ამ არეულობის დაწყებამდინაც განთქმული კაცი იყო მთელს ბოსნიაში. ია დერვიშია. ამბობენ, რომ მთელს ბოსნიაში იმაზე უმაღლესი და ულონიერესი კაცი არ მოიპოვებო. არეულობის დაწყებამდინ იმის ხელობა ის იყო, რომ მათხოვრობდა და ამ ნაირად მოგროვილ ფულებით მაწანწალა ძაღლებს არჩენდა, რომელნიც სარაევოს მეჩითებთან გროვდებოდნენ.“

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან ტრაპიზონიდამ 14 ივლისს:

„ამ ყამად აქ ისეთი ღელვაა ხალხისა, თითქო მშვიდობიანობა არ იყოსო, თითქო რუსეთსა და ოსმალეთს შუა დღესაც კიდევ გაცხარებული ომი იყვეს გამართული. განსაკუთრებით ჟურთები და ლაზები არიან აღელვებულნი; ოსმალოს მთავრობა ჯარებს ამზადებს, თოფიარაღს ურიგებს ხალხსა და საბრძოლველ ალაგებს ამიგრებს.

„მე დამარწმუნეს, რომ დერვიშ-ფაშას ივნისის დაძლევს მოუვიდა სტამბოლიდამ ოფიციალური მოწერილობაო, რომ ჯარები მოამზადოს ბათუმიდამ გასაყვანათ; ეს ამბავი, რასაკვირველია, რუსეთის მთავრობას აცნობეს: აი გაგვყავს ჯარიო. მაგრამ იმავე ხანებში ბათუმში მოსულა სტამბოლიდამ გამოგზავნილი ია რაიმ-ფაშა, რომელსაც რაღაც სხვა საიდუმლო დარიგებები და განკარგულება მოუტანია დერვიშ-ფაშისათვის.

„ამბობენ, რომ ამ ჟამად 34,000 ლაზი არის დამზადებულიო, რომ რუსები არ შემოუშვან ბათუმში; ამათ თოფ-იარაღი და ყველა გვარი მასალა ბლომათ აქვთ ოსმალეთის მთავრობისგან დაზადებულიო. ამის გამო უეჭველია, რომ რუსები სისხლის დაუღვრელად ვერ დაიჭერენ ბათუმსა და იმის მაზრას.“

განცხადებანი

ისყიდება პარტიითა და თითო კულითაცა **თამბაქო**, მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესსი: ბალერეი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაზოვი.

(2—3)

მიხელსონის სტამბაში, რომელიც იმყოფება ბალავინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული შრიფტი**, ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, იკანე კერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა

ფასი ორი შაური.

„კავკასიის წიგნის საყიდრო მაღაზიაში“ (Кавказская Книжная Торговля), აკაკის ხიდის თავში, ა. ზუბალოვის სახლებში ისყიდება:

1. „სიბრძნე-სიცრუვის წიგნი“ (ქართული არაკები დაზღაპრები მე-XVII და XVIII საუკუნისა) თხზულება საბასულხან ორბელიანისა, რუსულად ნათარგმნი და განმარტებული ალ. ცაგარელისაგან. პეტერბ. 1878.

ფასი თითო წიგნისა 1 მან. 50, გაგზავნით რვა აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და თელავს—სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან

„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა“

ტრაგედია ოთხ მოქმედებად, თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ბიბლიოგრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და ისყიდება **„პატარა ბიბლიოთეკა“**, წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა, ი. ბოგიბაშვილის რედაქციით.

ფასი ორი შაურია, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეიკათა სახალხო შკოლებს, როცა ერთათ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

(10—4)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	21	6	18	მ.	კაპ.	მ	კაპ.
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
გორი	11	53	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
უვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	57			6	75	3	75
სამტრედია	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	50			9	75	5	42
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია	11	5			2	6	1	14
რიონი	12	13			3	4	1	69
უვირილა	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
გორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ო�იტეა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	—	50
როსტოვს, ოდესს, მოსკოვ	2	—
პეტერბურს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალაქს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ—ყოველ დღე, კვირას გარდ. ოხუთეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ერთ წიგნის	4
ერთ ბეჭედის (ბ.ზი მისნელი)	8

მაზანდა

	მან.	კაპ.
თფილისი, 8 აგვისტ.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	90
ფქვილი წითელი	1	60
ქერი ფუთი	1	35
ბანბა ერევნისა, ფუთი	7	50
—ამერიკაა, ფუთი	8	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	20
—თარაქამისა ფუთი	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი	6	50
ქონის სანთელი ფუთი	8	80
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
—ცხვრისა, ლიტრა	—	90
სპირტი ვედრო	5	20
შაქარი, ბროკ. ფუთი	7	30
—ფხვნილი ფუთი	5	60
ქავა გრგვალი, გირვ.	—	70
ეთი ქუნჯუთი ა ფუთი	13	—
ბამბაქი, საშუალო ფთ.	12	—

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 8 საათ დამ 10-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლევი—შინაგ. ავთ., ქალაქ-რიანც—თვალსა და ხორეგიელ.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ბექტი ენერიულსა და კანის

ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის,

პეუნოვი—თვალს.

ორშაბათს: ვერმიშევი შინაგ., ბექტი—გულის და ნერვების

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ბექტი გულის, ქალ. ფრანცი—ინფილიტიკური და საშვილოსნო ორგანების, ა. ბ ხუტოვი—ქალის და ნერვების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინ გ., ბექტი-გულსა და პეუნოვი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Августа 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.